

# ARTISTERIUM

No.10

2017

თანამედროვე  
ხელოვნების  
თბილისის  
საერთაშორისო  
გამოფენა

Tbilisi International  
Contemporary Art  
Exhibition and  
Art Events

04.11 – 14.11

#

ARTISTERIUM

10

საქართველოს  
ეროვნული  
მუზეუმი,  
თბილისის  
ისტორიის  
მუზეუმი

Georgian  
National  
Museum,  
Tbilisi  
History  
Museum

## ხელოვნება, რეწვა, დიზაინი

არტისტერიუმი 2017, თანამედროვე ხელოვნების მე-10 საერთაშორისო გამოფენა ვიზუალური ხელოვნების, რეწვის (craft) და დიზაინის დიალოგს, მათ შორის კავშირებს, ერთმანეთში ტრანსფორმირებას და ამ ფონზე ახალი შინაარსის ძიებას ეძღვნება. ვიზუალურ ხელოვნებაში, ისევე როგორც თანამედროვე სტუდიურ რეწვასა და დიზაინში, კონკრეტული მასალების სპეციფიკური მახასიათებლები მათი გამოყენების ფუნქციურ და ესთეტიკურ შესაძლებლობებს განსაზღვრავენ, ხოლო მათი სინთეზი ახალი შინაარსის ობიექტებს ქმნის.

No10 როგორც გამოფენის სათაური, ასახავს საგნების, მასალების და ტექსტების ნუმერაციის პრაქტიკას, რომელიც, პროექტის თემატური და იდეოლოგიური დატვირთვის მიღმა, თავისუფალი თვითგამოხატვის პლატფორმადაც შეიძლება გამოვიყენოთ.

მცირე ინფორმაცია შესაძლებელი კვლევის სტიმულირებისთვის: მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა ისტორიკოსმა და ფოლოსოფოსმა რ.გ. კოლინგვუდმა თავის წიგნში „ხელოვნების პრინციპები“ (1938) ხელოვნებასა და რეწვას შორის განსხვავებების დაზუსტება გადაწყვიტა, რენვამ თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა. ამის ერთერთ მიზეზად რენვის საბოლოო პროდუქტის ფუნქციონალურობა სახელდებოდა. ამას, გასული საუკუნის 1960-1970 წლებში, კონცეპტუალიზმის განვითარებასთან ერთად, სახელოვნებო პრაქტიკის „დემატერიალიზაცია“ დაემატა, როდესაც „ხელობის“ ცონდის საჭიროებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მსგავს განვითარებას ხელოვნება, ცხადია, მარსელ დიუშანის „რედი-მეიდსაც“ უმაღლოდა. არტისტებმა საკუთარი ნამუშევრების შესაქმნელად სხვა ადამიანების უნარების გამოყენება დაიწყეს. ამ დროს დაიწყო დისკუსიაც იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა საბოლოოდ ხელოვნების ამ გზით შექმნილი ნაწარმოები, შემსრულებელს თუ იდეის ავტორს? როლან ბარტის 1967 წლის ცნობილმა ესსემ „ავტორის სიკვდილი“, ავტორობის საკითხიც ეჭვქვეშ დააყენა. სხვა მნიშვნელოვან იდეებთან ერთად ბარტის ესეში საუბარი იყო იმაზე, რომ არც ერთი ავტორი არ ქმნის ახალს და უნიკალურს, და რომ ნებისმიერი ნამუშევარი უკვე დაგროვებული ინფორმაციის და გამოცდილებების ახალი „ნაკრებია“, რასაც უამრავი ასპექტი განაპირობებს, მათ შორის კულტურული მოცემულობა და მაყურებელი, (ვიზუალური ხელოვნების შემთხვევაში, რადგან ბარტის ესე ლიტერატურას ეხებოდა) რომელიც „ამთავრებს“ ნამუშევარს.

ვიზუალური ხელოვნების და რეწვის ურთიერთობის ისტორიაში ტრადიციის მიღმა წარმოების უამრავი მაგალითია: სარეწავი მასალებით შექმნილი

უფუნქციო საგნები, მასალის პირველადი დანიშნულების საწინააღმდეგოდ გამოყენების პრაქტიკები, მეტალის, თიხის, ქსოვილის, მინის, ხის გამოყენება ვიზუალურ ხელოვნებაში და სხვ. დღეს, 21-ს საუკუნეში, შეხებამ, ხელით კეთებამ კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ესაა ტაქტილური კვალი, „ტაქტილური ინფორმაცია“ მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში.

არტისტერიუმი No10-ის მიზანი ვიზუალური ხელოვნების, რენვის და დიზაინის გამომსახველობით ენას, გამოყენებულ მასალას, მიდგომებსა და საწარმო პროცესებს შორის შემოქმედებითი სინთეზის ძიებაა. ამისთვის, მასალის და ენის „გაცვლის“ გარდა, მნიშვნელოვანია რენვისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური პოტენციალის, ვიზუალური ხელოვნების ინტელექტუალური და სოციალური შემადგენლის და დიზაინის ფუნქციონალურობის ურთიერთგავლენების და ურთიერთდენადობის (flux) მხატვრული კვლევა.

მაგდა გურული

კურატორი

არტისტერიუმი 10/2017



## ART CRAFT DESIGN

Artisterium's 10th International Exhibition of Contemporary Art is dedicated to the dialogue between visual arts, craft, and design. In so doing it explores the important links between physical form, material and thought, and the ways of transforming one into one another. In visual arts as well as contemporary studio craft and design, it is the specific characteristics of materials that determine their functionality and aesthetic meaning. Thus their synthesis can also create new objects and completely original content.

No10, as the title implies, reflects the practice of enumeration in the philosophical structure of materials and text. It aims to lead them beyond the usual themes and ideologies to a more solid platform of free self expression.

The British historian and philosopher R. K. Collingwood, in his book "The Principles of Art" (1938) redefined the differences between art and craft by moving the latter more into the background. The pure functionality of craft was identified as one reason for this division. In the 1960s and 1970s, this was added to by the popularization of conceptualism, with its "dematerialization" of the artistic process and removing the need for a physical "hand." Of course, Marcel Duchamp's "Ready Made" was also to "blame" in such a development. Artists began to use other people's skills to create their own works. This concurred with other debates over the meaning of authorship. For to whom did the artwork, in fact, belong; the author of the idea or its producer? Roland Barthes's famous 1967 essay "The Death of the Author" questioned the fundamental issue of authorship in art and literature. He claimed that no author creates anything truly new or unique, that all original work was merely a "combination" of pre-existing information and experience. Within this formula, he included the cultural idiosyncrasies of the artist and the role of the spectator, both of whom "finish off" the work.

In the relationship history between visual art and craft, there are many examples of stepping beyond traditional methodology: non-functional craft objects, deliberate misuse of materials against their purpose, artworks created in clay, fabric, glass, wood and other so-called craft materials. In the early 21st century, such tactile handcrafting is gaining a new purchase within the apparent unreality of the digital era. Artisterium "No10" is the search for a synthesis between ready-made materials, language, and new approaches to thought within visual arts, craft, and design. It is the hunt for a physical, economically viable synthesis of the very tangible "craft" materials of art, within the increasingly chaotic, intangible structures of thought starting to overwhelm contemporary culture.

Magda Guruli  
curator  
Artisterium 10/2017

ელენე აფრიამაშვილი, ავთანდილ  
მოდებაძე, საქართველო

*ვარდისფერი ავზი No 10*, 2017, სკულპტურა,  
სტიროლის პენოპლასტი, ცემენტი, შუშა,  
მეტალის მილები, აკრილი, გლიცერინი,  
ქაღალდი, ქსოვილი, ხე, 140 x 42 x 80 სმ

სკულპტურა სხვადასხვა მასალისგან  
შედგება, განსხვავებული  
ფერის, ზომის და ფაქტურის  
ნაწილებისგან, ამორფული  
ფორმებისგან, სამომხმარებლო  
და სასაქონლო სამყაროდან  
აღებული ობიექტებისგან, რომელთა  
წარმოდგენაც უსასრულო ვარიაციებად  
არის შესაძლებელი. კომბინირებულ  
ინსტალაციაში მნიშვნელოვანია მისი  
არაფუნქციონალურობა. სკულპტურა  
*ვარდისფერი ავზი No 10* აბსტრაქტული  
მოცემულობაა. ამიტომაც, ის უფრო  
სურვილის გამომხატულებაა.





ELENE APHRIAMASHVILI,  
AVTANDIL MODEBADZE, GEORGIA

*PSINK No 10*, 2017, styrol Penoplasty, cement,  
glass, iron pipes, acrylic, glycerin, paper, fabric,  
wood, 140 X42X80 cm

The sculpture consists of various materials  
of different colors, sizes and textures  
and amorphous forms – objects from the  
consumer and commodity worlds that can  
be presented in infinite variations.

The most important aspect of this combined  
installation is its non-functionality. The  
sculpture PSINK No 10 is thought out as an  
abstract piece, aiming to work as more of  
an expression towards desire.





შქველასი ისტორია თანამედროვე დიზაინში, 2017

კონცეფცია და ექსპოზიცია: მაკა დვალისვილი, თეა გოცირიძე  
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი / არტ ჯგუფი „ისტორიალი“  
პოლოგრამული (3D) გამოსახულება: კომპანია „ჰოლო“  
მუსიკა ნიკოლოზ რაჭველის „პანკისის ჩვენებიდან“

ინსტალაცია, ვიდეოპროექცია/ანიმაცია, ფოტო ბანერები შექმნილი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. XIV-XIII სს – VII-VI სს-ის ანტროპომორფული ფიგურების მოტივებზე.

ადამიანი/ჰომო – ხელოვნების, რენვის და დიზაინის შექმნელი და გამაერთიანებელია. ადამიანი გამოყენებადში წარმოსახავს ესთეტიკას – იქმნება ხელოვნება – იწყება კულტურა.

შემოქმედებას ადამიანი/ჰომო განავითარებს დროში – პრეისტორიულიდან დღემდე. ტექნოლოგია ვითარდება დროში – ადამიანი აწვითარებს ტექნოლოგიას.

ყოველი ეპოქისთვის ტექნოლოგია არის ინოვაციური – შექმნილი და გამოყენებული – ადამიანის მიერ.

პრეისტორიულიდან ინოვაციამდე.

ადამიანის ანტროპომორფული ფორმის გამოძენვა ინოვაციაა პრეისტორიულ ეპოქაში.

ადამიანის ფიგურის გამოყენებადი ფუნქცია – კულტი.

არტი – ესთეტიკა. ზემოქმედების საშუალება – ფორმა.

დიზაინი – ფუნქციის თანამედროვე ფორმაა.

ინოვაციური ტექნოლოგია – ესთეტიკა დიზაინში – თანამედროვე ეპოქაა.

ხელოვნება, რენვა, დიზაინი – სინთეზი, რომელიც აერთიანებს ფუნქციას, ემოციას ხელოვნების ენით დროში.

ადამიანი/ჰომო – ხელოვნების, რენვის და დიზაინის შექმნელი და გამაერთიანებელია.

EXPLORE ANCIENT HISTORY IN MODERN DESIGN, 2017

The Concept and Display by Maka Dvalishvili, Tea Gotsiridze  
Georgian Arts and Culture Center (GACC) / Art group "Istoriali"  
The 3D Holograms by "Holo" company  
Music by Nikoloz Rachveli "Pankisi Show"

The photo banners. Video projection/Animation. Installation

The Human / Homo – Creates and Bonds Arts, Crafts and Design.

The Human Embodies Aesthetics in Utilizable – the Art is Formed – the Culture Starts.

The Human Develops Creativity throughout the Time – from Prehistoric till Nowadays.

The Technology is developing throughout the Time – Human Develops Technology.

For Each Epoch Technology is Innovation – Invented and Utilized by the Human.

From Prehistoric to Innovation.

Sculpturing the Anthropomorphic Figure is Innovation in Prehistoric Era.

Utilitarian Function of Human Figurine – the Worship.  
 Art – Aesthetics. Means of Influence – Form.  
 Design – Contemporary Form of Function.  
 Innovative Technology – Aesthetics in Design – represents Modernity  
 Arts, Crafts and Design the Syntheses – Unites Emotion, Function with the  
 Language of Art throughout the Time  
 Hunan / Homo – Creates and Bonds Arts, Crafts and Design.



მამაკაცის ითიფალური ქანდაკება, ფერსათი,  
 დასავლეთ საქართველო, ძვ.წ. VII ს.  
 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

*Male Ithyphallic Figure, Fersati, West  
 Georgia, 7th c BC.  
 Kutaisi State Historical Museum*



გიორგი მალრაძე, საქართველო

ეთიუდი ბეკონის ველასკესის, პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტის ეტიუდზე, 2017, ობიექტი, სკამი, ნეონი, 110 x 50 x 50 სმ


ობიექტი ჩემი გამოხმაურებაა სხვადასხვა ეპოქის ორ ნამუშევარზე. ესენია ველასკესის „პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტი“ და ფრენსის ბეკონის „ველასკესის პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტის ეტიუდი“. ეს ორი ნამუშევარი, ჩემთვის, ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბული, დრამატული და აპოკალიფსური განწყობით და ამ განწყობის ერთ ერთი ყველაზე ოსტატური გადმოცემით. ჩემი ეტიუდი ველასკესზე, ბეკონის ეტიუდის გავლით, სამგანზომილებიანი და სკულპტურულია. ბეკონის ეტიუდში პერსონაჟის სახე ნელა ნელა ქრება, ჩემს ეტიუდში ის საერთოდ აღარ არის, მაგრამ რჩება სკამი, როგორც ძალაუფლების და ლეგიტიმურობის სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ეპოქებს სიახლეები მოაქვთ, მართვის სიმბოლოები, მიუხედავად სახეების ცვლილების ან სულაც გაქრობისა, მუდმივი რჩება.



დიეგო ველასკესი, პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტი, 1650  
Diego Velázquez, Portrait of Innocent X, 1650



ფრენსის ბეკონი, ველასკესის პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტის ეტიუდი, 1953  
Francis Bacon, Study after Velázquez's Portrait of Pope Innocent X, 1953



გიორგი მაღრაძე, ბეკონის ველასკესის, პაპი ინოკენტი X-ს პორტრეტის ეტიუდის ეტიუდი, 2017  
*Giorgi Maghradze, Study after Bacon's Study after Velázquez's portrait of pope Innocent X, 2017*

GIORGI MAGHRADZE, GEORGIA

*Study after Bacon's Study after Velázquez's portrait of pope Innocent X, 2017, object, chair, neon, 110 x 50 x 50 cm*

The object is my response to the two works of different epochs. These are Velázquez's Portrait of Innocent X and Bacon's Study after Velázquez's Portrait of Pope Innocent X. These two works, for me, have always been distinguished by tense, dramatic and apocalyptic moods, and represent a rather masterful reflection of these moods. My study after Velázquez via Bacon's study is three-dimensional and sculptural. In Bacon's study, the face of the character is slowly disappearing, while in my study there is no longer a face. However, a chair remains as a symbol of power and legitimacy. Despite the fact that new epochs bring innovations, the symbols of power – regardless of the faces being changed or entirely disappeared – remain permanent.

ილიკო ზაუტაშვილი, საქართველო

*უხილავი ობიექტის ხილული ნაწილი*, 2017, ინსტალაცია, თუნუქი, პინგ-პონგის ბურთი, სხვადასხვა ზომა

ILIKO ZAUTASHVILI, GEORGIA

*Visible part of Invisible Object*, 2017, installation, tin-plate, ping pong ball, size variable

“A man climbs a mountain because it is there. A man makes a work of art because it is not there.”

Carl Andre

*უხილავი ობიექტის ხილული ნაწილი*, დეტალი  
*Visible part of Invisible Object*, detail








ირინე ჯიბუტი, საქართველო

თვლა, 2017, ინსტალაცია, ადგილობრივი თიხის ობიექტი  
ეკვადორიდან, 9-10 სმ, და ფაიფურის ობიექტი, 40-45 სმ

IRINE JIBUTI, GEORGIA

*Counting*, 2017, installation, local clay object from Ecuador of  
9-10 cm, and porcelain object of 4-45 cm







პაზუნორი კიტაზავა, იაპონია

*ცარიელი სახლი*, 2017, ობიექტი, ბუმბულები, შორეულადმოსავლური სკულპტურა – ხელოვნების ყუთი, 30 X 30 სმ

KAZUNORI KITAZAWA, JAPAN

*Void House*, 2017, objects, feather, Far East sculpture – ART Box, 30 X 30 cm

“The outsider many indeed wonder at this seeming much ado about nothing. What a tempest in a tea-cup!, he will say. But when we consider how small after all the cup of human enjoyment is, how soon overflowed with tears, how easily drained to the dregs in our quenchless thirst for infinity, we shall not blame ourselves for making so much of the tea-cup.”

Tenshin Okakura

*The Book of Tea*, 1902, Chapter I, The Cup of Humanity





კოტე ჯინჭარაძე & დავაკი/  
საპარტოვლოს დაუდასტურებელი  
ფაქტების კვლევითი ინსტიტუტი

*ფურშეტი*, 2017, ინსტალაცია, მაგიდა, 24  
ცალი ორგამინის კონტეინერი, 24 ცალი  
დაჭმუჭნილი ხელსახოცი, 120 x 80 x 60 სმ

ყოველდღიური მოხმარების  
ნებისმიერი, სულ უმნიშვნელო საგანიც  
კი შესაძლებელია ხელოვნების  
ნიმუშად იქცეს. კონტექსტთან და  
შინაარსთან ერთად, მთავარია  
ვინ აკეთებს და სად აჩვენებს მას.  
აქ მნიშვნელოვანია საგნების  
გააზრებული განლაგება (დიზაინი) და  
მათი ექსპონირება საგამოფენო ან  
სამუზეუმო სივრცეში.

ინსტალაცია „ფურშეტი“ წარმოადგენს  
ირონიას თანამედროვე  
საზოგადოებაში დამკვიდრებულ  
ტენდენციებზე, კერძოდ, ცნობილი  
პიროვნებების ფეტიშიზაციაზე.

KOTE JINCHARADZE & SIUF/  
SCIENTIFIC INSTITUTE OF  
UNCONFIRMED FACTS OF GEORGIA

*Stand-up Buffet*, 2017, installation, a table, 24  
Plexiglas containers, 24 crumpled napkins,  
120 x 80 x 60 cm

Anything out of daily consumption, even  
the smallest object, can become a work  
of art. With context and content, the main  
thing that remains is who makes it and  
where she/he chooses to showcase it. In  
this regard, the thoughtful arrangement of  
things (designs) and their exposition in a  
gallery or a museum space is of particular  
importance.

The installation “Stand-up Buffet” is the  
irony on certain trends in contemporary  
society, applying in particular to the  
fetishization of famous personalities.





ლალი კუტატელაძე, საქართველო

*წინის ესთეტიკა*, 2017, თიხის ლარნაკები, სხვადასხვა ზომა

თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, შეუძლია ანტიესთეტური, ესთეტურად წარმოაჩინოს. ზღვარი ესთეტიკის ძირითად კატეგორიებს, მშვენიერებასა და სიმახინჯეს შორის, გარკვეულნილად, იშლება. ჩემთვის საინტერესო სწორედ ამ ზღვარის ნაშლაა.

ნამუშევარი რენვის წუნდებულ ობიექტს ეხება. ესაა ჩვეულებრივი ლარნაკი, რომლის მასობრივი წარმოება კერამიკულ ქარხნებში ხდება, ან, მარტივად, მეთუნეს ამოჰყავს.

წარმოების პროცესი ასეთია: ნედლი ნაწარმის დამზადება, ჩამოსხმის ან ჩარხზე ამოყვანის წესით, შრობა, შემდეგ გამონვა, მოხატვა, კიდევ გამონვა და ა. შ. ხარვეზი ნებისმიერ ეტაპზე უსარგებლოს და არშემდგარს ხდის ნივთს და ის ისევ გადამუშავდება.

წარმოდგენილი ნიმუშები თეთრი და წითელი თიხის ლარნაკები, პირველივე ეტაპზე – ყალიბიდან ამოღებისას ან შრობის ეტაპზე გაფუჭდა.

LALI KUTATELADZE, GEORGIA

*Aesthetics of Defect*, 2017, clay bowls, various sizes

Modern technologies create a new aesthetic, which, as paradoxical as it may be, can present an anti-aesthetic object aesthetically. The margins among the primary aesthetic categories, such as beauty and ugliness, are somehow erased. It is this process of erasure that is interesting to me.

*Aesthetics of Defect* deals with disposable objects, which can be a usual bowl that is mass produced in ceramic factories, or simply in a pottery studio.

The process of bowl production is as follows: the production of raw material, by means of bottling or shoveling, followed by drying, burning, painting, burning again, and so on. A single flaw at any stage of this process can make the object useless. However, it can still be processed.

The presented samples are white and red clay bowls that got damaged at the starting stage – at the point of their extraction from a mold, or during drying.





ლია ბაგრატიონი, საქართველო

*დოკუმენტები საოჯახო არქივიდან, 2017,*  
გასანთლული მიტკალი, ტექსტი, სამი ნაწილი, A3, 76 x  
54 სმ და 104 x 68 სმ

„ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში  
ვაძლევ“  
უილიამ შექსპირი, რიჩარდ III

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სახელმწიფომ ე.წ. „შავი სიები“ ამოქმედა. „შავი სია“ გულისხმობდა იდეოლოგიური მონაპოვების, მუშაობის უფლების გარეშე დატოვებულთა სიას. ჩემი წინაპრებიც ამ სიაში აღმოჩნდნენ. ჯერ მენშევიკურმა და შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობებმა ჩამოართვეს მიწები, სახლები და ყველაფერი რაც ამ მიწებსა თუ სახლებში არსებობდა. იმ მცირედს, რაც გადაარჩათ, საარსებოდ ნელ-ნელა ყიდდნენ.

პაპაჩემმა რამდენიმე ტომარა ფქვილის სანაცვლოდ მგზობელს თავისი ბინის ნახევარი მისცა. ავეჯს, არც თუ ცუდად, თავისი ხელით აკეთებდა, ხოლო სამოსთან დაკავშირებით, ბებიამ თითქმის დაუჭერებელი ამბავი მიაბო: „ლია, ეს ორი პერგამენტი, რომელზედაც შენი დიდი პაპის მიწებია აღწუსებული, გასანთლული მიტკალია. ამ პერგამენტს თუ მოხარშავ, სანთელი მოშორდება და მიტკალი დაგრჩება. ჩვენც, იმისათვის რომ შევმოსილიყავით, ვხარშავდით ამ პერგამენტებს. ცხელ წყალში სანთელი დნებოდა და წყლიდან მიტკალი ამოგვექონდა. მიტკლიდან ტანსაცმელს ვკერავდი. პერანგის შესაკერად რამდენიმე პერგამენტის გამოხარშვა მჭირდებოდა. თითოეული მათგანი საკმაოდ დიდი ზომის მიწის ნაკვეთს მოიცავდა და ისე გამოდიოდა, რომ მე ამ მიწის ნაკვეთების მახსოვრობასაც წყალს ვატანდი, რადგან, როცა მათ ვხარშავდი, მათზე აღწუსებული მიწები უკვე ჩამორთმეული გვექონდა“.

დღეს, როდესაც მოდის ინდუსტრია თავის პროდუქტს ასტრონომიულ ფასად ყიდის, მეც, უნებურად, ბებიჩემის შეკერილი ტანსაცმლის ამბავი მახსენდება. მათი ფასის გადაჭარბება შეუძლებელი მგონია. ბებიჩემი მათი კერვისას (და ტარებისას) რამდენიმე სოფლის ფასს იხდიდა.

LIA BAGRATIONI, GEORGIA

*Documents from the Family Archive, 2017,*  
waxed calico, text, 3 frames of 76 x 54 cm and  
104 x 68 cm

“A horse, a horse, my kingdom for a  
horse”  
William Shakespeare, Richard III

After the sovietization of Georgia, the so-called “blacklists” were launched. The “black list” referred to the list of people left without a work permit due to their ideological views. My ancestors were on the list, as well. The Menshevik, and then the Bolshevik governments confiscated their lands, houses and everything what was in them. Some small belongings left behind were to be slowly sold for survival.

My grandfather once gave half of his apartment to a neighbor in exchange for a few sacks of flour. He could produce pretty decent handmade furniture, but when it came to clothing, my grandmother had an unbelievable story about that: “Lia, these two parchments which contain the listings of your great grandparents’ lands are made of waxed calico. If you boil them, the wax gets removed and the fabric itself recovers. We used to do it; the wax would melt in hot water and the clean fabric would be pulled out. I would then use them to sew clothes. Several parchments would make one shirt. Each one of them listed a large area of land, so when I’d boil them I would feel like I was losing the memory of those lands. These lands were already confiscated at the time, as well.

Today, when I see the fashion industry selling its product for an astronomical price, I remember the story of my grandmother’s sewn cloths. I think it is impossible to overrate their price; my grandmother used to pay the price in entire lands, just for sewing or wearing those clothes.





მალხაზ შველიძე, საქართველო


*ჯოსერის ფინჯანი*, 2017, თეთრი თიხა, ჭიქური, დეკალი

MALKHAZ SHVELIDZE, GEORGIA

*Djoser's Cup*, 2017, white clay, glaze, decal

«Ճշդիս, ժյուհի, և ջամնաթղթի, (Յամնի նորոտ կըծա պղտոն  
 (նայասհի ստղծուտ) ճիւղըխթոնընծա էշքն խնայմն Թ  
 նայլոն ճղթոնն ծոննլի» Գահյ Յաթղչի \*

Կարն զոնխնի լիւնիչի»



Յամնի. նախապիտ նախորտ

Կարն զոնխնի լիւնիչի» ճիւղնայի Թ նայլոնիչի  
 ճղթոնն ճիւղնի ճիւղնի (ճիւղնի նախ  
 ճիւղնի Թ նայլոնիչի (ճիւղնիչի Թ նայլոն  
 ճիւղնի ճիւղնի) նայլոնի պղտոն ճիւղնի Թ  
 ճիւղնիչի ճիւղնի ճիւղնի նայլոնի ճիւղնի

\* Գահյ Յաթղչի նախորտ « Կարն Թ նայլոնիչի »

მერაბ გუგუნაშვილი, საქართველო


*1m2*, 2016-2017, თეთრი თიხა, ჭიქური, ფერადი პიგმენტი, თითო 21 x 28 სმ

სააბაზანო ფილის ტრანსფორმაცია, გამოყენებითი ნივთიდან არტობიექტამდე. ყოველდღიურობაში, ყველასთვის ნაცნობი, ქარხნული ნარმოების, თიხის სააბაზანო ფილა კარგავს ჩვეულ ფერს, ფორმას, ფუნქციას და გარდაისახება სრულიად გამოუყენებელ, ავტონომიურ არტობიექტად.

MERAB GUGUNASHVILI, GEORGIA

*1m2*, 2016-2017, white clay, glaze, colored pigment, 21x28 cm each

The transformation of a bathroom tile from a subject with function into an art object. In everyday life, a familiar, factory-made clay bathroom tile loses its usual color, form and function, becoming a useless, autonomous art object.







ნათია ბენაშვილი, საქართველო

*რაოდენობა და რაობა*, 2017, ვიდეო, 3'00"/loop

მასიური წარმოების წინაპირობას წარმოებული პროდუქტის სტანდარტიზაცია განაპირობებს, სადაც ნივთის შექმნის სრული ციკლი პროგრამულ და მექანიკურ პროცესებს ექვემდებარება. ამ ფონზე ხელით შექმნილი ნაწარმები პიროვნული თვითგამოხატვის უნიკალურობით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, სერიული მეთოდით წარმოებული თითოეული ნივთი დროის განუმეორებელ მონაკვეთში იქმნება და განაგრძობს არსებობას. სწორედ დროის და სივრცის უნიკალური კონტექსტის გამო, კონსტრუირებული თუ დეკონსტრუირებული კონვეერული წარმოების ობიექტი იძენს საკუთარ განუმეორებლობას.

NATIA BENASHVILI, GEORGIA

*Quantity and Essence*, 2017, video, 3'00"/loop

The precondition of mass production is a form of standardization for a produced object, taking place once the entire cycle of creation of a thing obeys programmed and mechanical processes. On this backdrop, a handmade work is distinguished by the uniqueness of personal self-expression embedded within. Nevertheless, each item born of mass production is created in a unique period of time, carrying on its existence. Because of the unique context of time and space, the constructed or deconstructed object from a conveyor production line acquires its own type of exclusivity.





ნინო ზირაქაშვილი, საქართველო  
NINO ZIRAKASHVILI, GEORGIA



NGC 602, 2017, შაბლის კოსმოსური  
ტელესკოპის ფოტოს (2013)  
ანაბეჭდი ქსოვილზე, 55 x 53 სმ

NGC 602, 2017, Hubble Space  
Telescope's photo (2013) printed  
on the fabric, 55 x 53 cm



XDF, 2017, შაბლის კოსმოსური  
ტელესკოპის ფოტო (1995)  
ანაბეჭდი ქსოვილზე, 43 x 50 სმ

XDF, 2017, Hubble Space  
Telescope's photo (1995) printed  
on the fabric, 43 x 50 cm



SNR 0509\_67.5, 2017, შაბლის კოსმოსური ტელესკოპის ფოტოს (2004) ანაბეჭდი ქსოვილზე, 42 x 50 სმ  
SNR 0509\_67.5, 2017, Hubble Space Telescope's photo (2004) printed on the fabric, 42 x 50 cm

პატრიკ მორარესკუ, გერმანია

*შემსრულებლები და ქმედების ადგილი*, მიმდინარე პროექტი, სხვადასხვა ზომა, 22'00"/loop

ფოტო-სერია „შემსრულებლები“ (200 ფოტო) იმ არტისტების პორტრეტებია, რომლებიც თავიანთ სახელოვნებო პრაქტიკაში ცოცხალ ქმედებას იყენებენ. ჩემი მიზანია არა ამ ქმედებების, არამედ მათ უკან მდგარი პიროვნების დოკუმენტირება. როგორც წესი, ფოტოს პერფორმანსის შემდეგ ვიღებ, იმისთვის რომ მან ცოცხალი პრეზენტაციის ენერჯია შეინარჩუნოს. მეტიც, ფიგურას კონკრეტულ გარემოში ან შესაბამის ფონზე ვიღებ. ამ გზით ფოტო დამატებით განზომილებას იძენს, რაც სხეულის და მის გარშემო არსებული სივრცის ურთიერთობის ინტენსივობაში გამოიხატება. პროექტზე 2010 წლიდან ვმუშაობ და სერია 190 არტისტის ფოტოს მოიცავს.

ფოტო-სერია „ქმედების ადგილი“ (60 ფოტო) საზოგადოებრივ და კერძო სივრცეებში, ადამიანის ქმედების შემთხვევით კვალს აღბეჭდავს. ქმედებების ექვს დროში გრძელდება, ხოლო ქმედებებით გამოწვეული სივრცის ცვლილება ამ ქმედებების დოკუმენტაციაა. ფოტოგრაფია, რომელიც, ამ შემთხვევაში დოკუმენტაციის დოკუმენტაციაა, არეკლავს მომენტს, რომელიც აღარასოდეს განმეორდება.

ადამიანის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი მისი სასრულობაა, რაც მის შემდეგ დარჩენილ პეიზაჟებში, მელანქოლიის და შემთხვევითი კვალის სახით ვლინდება.

„ქმედების ადგილი“ 2007-2015 წლებშია გადაღებული გერმანიაში, ფინეთში, შოტლანდიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, რუმინეთში, იორდანიაში, სირიაში, იპაონიაში, ტაივანში, მაროკოში, ჩინეთში და კამერუნში.

ინსტალაცია „შემსრულებლები და ქმედების“ ადგილი ორ ფოტო-სერიას ერთდროულად აჩვენებს. სერიაში შემავალი ფოტოების განსხვავებული რაოდენობის გამო ვიზუალურ რიგში უწესრიგო და შემთხვევითი წყვილები იქმნება. მაყურებელს, საკუთარი ინტერპრეტაციის და ფანტაზიის მეშვეობით, ფოტოებს შორის საკუთარი ასოციაციური ურთიერთობების შექმნა შეუძლია.









PATRICK MORARESCU, GERMANY

*Performers & Performing Grounds*, ongoing project, two channel installation, sizes variable, loop/22'00"

"Performers" (200 photos) is an archive collating portraits of artists using live actions in their practice. My aim is not to document art actions, but to capture the personalities that are behind those actions.

Usually I take the photo right after a performance with the purpose of retaining the energy that a live presentation imbues in the artist. Moreover, I aim to situate the figure in a specific setting or against a relevant background. In this way, additional meanings come across, suggesting associations between the corporeal expression and the intensity of the surrounding space. Working on the project since 2010, meanwhile the Performers archive includes 190 different artists.

The photographic series "Performing Grounds" (60 photos) shows accidental and random traces of human actions found in public and private spaces, architectures and places that once were alive and now are silent. The echo of the actions persists in future moments and the space alteration becomes the documentation of human performance, the photography being in turn a document of the document, a dimming reverberation of a time that will never return.

One of the strongest fate of human condition, the expiring of existence, is made evident through the landscapes, as they would be "leftovers"; residues imbued with the melancholy of the accidental.

The Performing Grounds were taken between 2007 and 2015 in: Germany, Finland, Scotland, Spain, France, Romania, Jordan, Syria, Japan, Taiwan, Morocco, China and Cameroon. The installation combines the two series and displays them simultaneously. Due to the very different number of works of each series, the presentation will create random or accidental couples. The viewer will create associations and relations between the images, composing their own interpretation and fantasy.

ნონა ოთარაშვილი, სოფო ტაბატაძე,  
საქართველო/გერმანია

*ნამდვილი ამბავი*, 2016-2017, ვაზები,  
ფაიფური, ანგობა, ჭიქური, 13 x 15 სმ,  
ფირფიტები, ფაიფური, ჭიქური, ოქროს  
ვარაყი, სხვადასხვა ზომა, დაახლ. 4 x 30 სმ

„ნამდვილი ამბავი“ ნონა  
ოთარაშვილის (კერამიკა) და სოფო  
ტაბატაძის (გრაფიკა) ერთობლივი  
კერამიკული პროექტია, რომელიც  
მათ 2016-17 წლებში გააკეთეს.  
მიზანი ნონას ტექნიკური და სოფოს  
გრაფიკული გამოცდილების  
გაერთიანება იყო.

სერია შედგება თიხის თეფშებისა  
და ყუთებისგან, ფაიფურის ვაზებისა  
და ფირფიტებისგან. მხატვრულ  
ღირებულებასთან ერთად, ნივთების  
ნაწილს გამოყენებითი დანიშნულებაც  
აქვს.

NONA OTARASHVILI, SOPHO


TABATADZE, GEORGIA/GERMANY

*A True Story*, 2016-2017, vases, porcelain,  
slip, glaze, 13 x 15 cm, platters, porcelain,  
glaze, gold foil, various dimensions, ca 4 x  
30 cm


“A True Story” is a joint ceramic project  
by Nona Otarashvili (ceramics) and  
Sophia Tabatadze (drawings), which  
they created in 2016-17. Their aim  
was to combine Nona's ceramic  
and Sophia's graphic experience.



This set consists of clay plates and  
boxes, porcelain vases and platters.  
As well as being artworks, some of the  
objects are also functional.





A TRUE STORY





სუჰ იონჰეი, სამხრეთი კორეა

*უფსკრული მესხიერებაში*, სტამბოლი, 2017, ინსტალაცია, კაბა, მარილი, წყალი, ინსტალაციის ხედი სტამბოლის ჰაიდარფაშას რკინიგზის სადგურში

სუჰ იონჰეის სერია „უფსკრული მესხიერებაში“, ესაა მხატვრის მოგზაურობა რეცეპტების მოსაპოვებლად ქსოვილის (ან ჰანჯის – კორეული ქალაქის სახეობა) შესაღებად, რომელიც შემდეგ მისი ტილო ხდება. საღებავისთვის გამოყენებული მასალა ყოველ ჯერზე განსხვავდება, იმის მიხედვით თუ რომელ ქვეყანაში მუშაობს მხატვარი. შედეგილი ტილო ინახავს ადგილის მახსოვრობას, რომელიც, შემდგომი ინტერპრეტაციის შედეგად, მხატვრის მოგონებებში განსხვავებული სახით რჩება.

SUH YOONHEE, S.KOREA

*Memory Gap*, Istanbul, 2017, installation, dress, salt, water, installation view in Istanbul Haydarpasa Train Station

Yoon Hee Suh's *Memory Gap* series starts with traveling for recipes to dye fabric (or hanji) which then become her canvas. The materials used for dyeing differ every time because materials are chosen by the place she travels to work. The dyed canvas embodies the space and memories of the workspace, but it also expands its' grounds for interpretation and exists in a different space within the artist's memories. Furthermore through her work process, *Memory Gap* demonstrates the ability to heal itself in which it consoles the audience and connects to their memories. All the gaps in between the time and space of this series communicates throughout the gaps of the audience with patterns of beautiful drawings and colors filled with stories.





თამარ ჭაბაშვილი, საქართველო/  
გერმანია

მისი საკუთარი სუფრა, 2014, ინსტალაცია

გამოფენაზე წარდგენილი ნამუშევარი, „მისი საკუთარი სუფრა“, უფრო დიდი პროექტის ნაწილია, რომელიც ქალის უხილავ, მტკივნეულ გამოცდილებას ეხება. ანთროპოლოგმა, აგნესკა დუდრაკმა საქართველოში ოჯახური ძალადობის თემაზე პროექტზე მუშაობა შემომთავაზა. პროექტი წელიწადნახევრში, ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა.


პროექტში ჩემი შთაგონების წყარო ქართული სუფრაა, ლხინთან დაკავშირებული ტრადიცია და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სუფრა საქართველოში ძლიერ პოპულარულია და მასთან ყველას საკუთარი დამოკიდებულება და მოგონება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სუფრას ძირითადად ქალები ამზადებენ, დაფასებული და თვალსაჩინო როლი სუფრაზე კაცებს აქვთ, რაც სადღეგრძელოებში, საუბრებში, სიმღერებში და ლექსების ციტირებაში ვლინდება. სუფრა კოლექტიური, საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც ადამიანები საკვებსა და დროს იზიარებენ. სიტყვა „სუფრა“ მაგიდის გადასაფარებელსაც ნიშნავს და ლხინის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ტრადიციულად სუფრას ქალი არჩევს ან კერავს. მიუხედავად დროთა განმავლობაში სუფრაზე დარჩენილი ლაქებისა, ისინი ოჯახებში ხშირად ათწლეულების განმავლობაში ინახება. სუფრა საოჯახო საგანძურია, როგორც დღიურები ან პირადი მოგონებები, უხილავი კვალით. ინსტალაციით ჩემი მიზანი ისეთი სივრცის შექმნა იყო, სადაც კერძო და საჯარო ერთმანეთს გადაფარავს.

TAMAR CHABASHVILI, GEORGIA/  
GERMANY

Supra of Her Own, 2014, Installation

The work I presented here is part of a bigger project, Supra of Her Own, the invisibility of the women's painful experiences. I was approached by the anthropologist, Agnieszka Dudrak, to develop a project based on the topic of domestic violence in Georgia. The project developed in close collaboration with the women survivors over the period of a year and a half.

My inspiration for this project came from the Georgian supra, a highly cultivated traditional feast that is an important part of everyday Georgian life. Everybody knows the 'supra' in Georgia and everyone has his/her own attitude towards it and memories of it. Even though generally the women are responsible for the preparation of the feast, the men are accountable for the most valued and visible activities at the table, such as toasting, speaking, singing, and reciting poetry. The 'supra' can be perceived as a collective, public space for sharing food and time with each other. The word 'supra' also means a tablecloth and is an important attribute to the feast. Traditionally the tablecloth are decorated by women and kept within families often for decades despite stains and mends they accumulate. These family treasures, like diaries, hold personal memories the traces of which remain invisible. My aim was to create an installation where public and private spaces would continuously overlap.  
<https://supraofterown.wordpress.com>




*მისი საკუთარი სუფრა*, 2014, სუფრა #3, ქსოვილი  
 სუფრა დეკორირებულია კითხვარით, რომელსაც ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციები იყენებენ, ძალადობის მსხვერპლთა გამოსავლენად და ძალადობის მომენტში მათი ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის დასადგენად.

*Supra of her own*, 2014, tablecloth #3, textile  
 The tablecloth decorated with the entire questionnaire used by organizations fighting against gender-based violence in Georgia to identify the person as a victim and detect in what emotional and physical state she is in that very moment.









მზია საკვათსი სუფრა, 2014, სუფრა #1, ქსოვილი, 309 x 130 სმ  
*Supra of her own*, 2014, tablecloth #1, textile, 309 x 130 cm

თიკო ქსოვრელი, საქართველო

*ლაქები ქვეცნობიერში*, 2016, კანაფი, შალი, ბამბა, 170 x 150 სმ

ადამიანები კომუნიკაციისას ხშირად აწყდებიან აზრთა შეუთავსებლობას. ურთიერთობა ზოგჯერ გაღიზიანებაში გადადის და დისკომფორტი იქმნება. წარმოქმნილი ემოციები, შთაბეჭდილებები და წყენა პიროვნების ქვეცნობიერში მუდმივ ლაქად რჩება.

TIKO QSOVRELI, GEORGIA

*Spots in Subconscious*, 2016, cannabis, wool, cotton, 170 x 150 cm

While communicating, people often run into opinion incompatibility. Relationships turn into irritation, which begets discomfort. This in its turn creates emotions, impressions, and offenses that settle in a person's subconscious and form a stigma.







თინათინ ცხადაძე, საქართველო


*ქართული მუქი*, 2017, ნახატების ირონიულ-გოტიკური სერია, შერეული მასალა პერგამენტზე, სხვადასხვა ზომა

გრაფიკული სერია პერგამენტზე „ქართული მუქი“ ჩემი ბოლოდროინდელი პროექტია. ესაა აბსტრაქტული ისტორიები ქართველ ქალებზე. ეს ისტორიები ბევრს გულისხმობენ, ამავე დროს არაფერს ამტკიცებენ. სერიაზე მუშაობისას ჩემს წარმოსახვაში ბევრი რამით ვითამაშე: მედეა, ჯადოქრობა, „დედაკაცობა“ და მასკულინური ფუნქციები, დახვეწილი ქართული არისტოკრატია, გლამურულობა, ქედმაღლობა, პირქუშობა და ა.შ. ამდენად, ზოგი ტიპაჟი განყენებული და პირობითია, ზოგი კონკრეტული. ნამუშევარში მაინტერესებდა ქართული ხასიათის მძიმე, დაფარული მხარეების კვლევა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სერია შავ-თეთრი, ლაკონური, პირქუში და ამავე დროს ელეგანტურია, ახასიათებს თავისებური იუმორი. ის პროვოკაციულია, მაგრამ კეთილგანწყობილი. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო რომ სერიის გამომსახველობითი ენა თანამედროვე ყოფილიყო, ხოლო ვიზუალური ნიშნები – ტრადიციული.

TINATIN TSKHADADZE, GEORGIA

*Georgian Dark*, 2017, ironic-gothic series of drawings, mixed media on vellum, various sizes.

The graphic series on parchment, entitled “Georgian Dark”, is one of my latest projects. These are stories of Georgian women, stories which are abstract. They imply much, however they do not claim anything outright. While working on the series, many things drove in my imagination: Medea, witchcraft, “motherhood” and masculine functions, exquisite Georgian aristocracy, glamour, arrogance, gloom, and so on. Some characters are aloof and conditional, some are more specific. In the series, I was interested in researching the heavy and enclosed sides of a Georgian character, which is why the series is black and white, laconic, gloomy and elegant. It contains some of its own humor. The series is provocative but friendly. It was important for me to showcase the performative language of the series being modern, while the visual signs remained traditional.





ტუული მალა, ფინეთი

უილიამ კარდი, დიდი ბრიტანეთი

*საღებავი-კვალი*, 2016, პერფორმანსის ვიდეო, 05'11"/loop

პერფორმანსის ვიდეო სახელოსნოში მხატვრების მიერ დატოვებულ კვალს მიჰყვება. ვიყავით რეზიდენციაში, სადაც არავინ ხატავდა, თუმცა ის ფერწერაზე სამუშაოდ ადგილად იყო ჩაფიქრებული. რეზიდენციის მეპატრონეს ენატრებოდა დრო, როცა შემოქმედებითი პროცესი გაცილებით ხელშესახები და ხილული იყო. წარმოვიდგინე საღებავების სუნი და ტილოების გროვები, შევხედე ფოლკე რიკლანდის გამოსახულებებს, ვის სტუდიაშიც ვიყავით.

გავყევით სახელოსნოს სივრცეს, სადაც წარსული და აწმყო აირეკლებოდა – სხეული მიჰყვა საღებავის კვალს, კამერა სხეულს. სახელოსნოს სიჩუმეში ექვთ თითქოს აქ ადრე მომუშავე მხატვრებზე გაგონილ ამბებს იმეორებდა. მათი კვალი მატერიალური გახდა და სახელოსნოში დარჩენილ მახსოვრობას დაუკავშირდა.

TUULI MALLA, FINLAND

WILLIAM CARD, UK

*Paint-Trace*, 2016, video of the performance, 05'11"/loop

Saxnäs, Sápmi, Ricklundgården. Residency organized by NSU Circle 7 – Practicing Communities.

A performance video following traces left by painters in a studio.

We participated in a residency in which no one was painting although that is what the place was originally intended for. The host of the residency was longing for times when the process of the artists was more materially tangible and visible. I imagined the smells of paint and the accumulation of canvases, looked at images of Folke Ricklund whose studio we were in.

We followed the space that was calling from the past and the present – a body followed paint, the camera followed the body. Stories we had heard about those who worked in the studio echoed in silence and traces became a material for connecting with the painters' memories.



იონ ჰიუნსეობი, სამხრეთ კორეა  
*მუშაობის ხელოვნება*, 2017, ვიდეო, 4'19"/loop

YOON HYUNSEOB, S.KOREA  
*The Art of Work*, 2017, video, 4'19"/loop







ზაირა ნადირაშვილი, საქართველო  
*უშეთველობა*, 2017, პერფორმანსი

კაცობრიობა ათასწლეულების მანძილზე იკვლევს მარტოობის პრობლემას. ვან გოგი თავის თავთან პირისპირ ყოფნას შემოქმედებით მელანქოლიას უწოდებდა. ეს მნიშვნელოვანი მდგომარეობა, საკუთარ ინდივიდუალობასთან და მაშასადამე სამყაროსთან სიახლოვე, ადამიანის სულიერ და ემოციურ მრავალფეროვნებას წარმოაჩენს.

ZAIRA NADIRASHVILI, GEORGIA  
*Serenity*, 2017, performance

Humanity has spent millennia researching the problems of solitude. Van Gogh called for one to be with oneself, face-to-face with creative melancholy. This important state of being exposes a certain proximity to one's own individuality, along with the universe itself – therefore revealing the spiritual and emotional diversity of a human being.





### მისაღები ოთახი III – IN SITU – თბილისის ისტორიის მუზეუმი

ლითონის ხანიდან, კავკასია კულტურული გადაკვეთების მრავალფეროვან გარემოდ ჩამოყალიბდა, სადაც ვაჭრობდნენ, იბრძოდნენ და ზოგჯერ, ძალაუფლების, დიდების, ახალი მიწების და იმპერიული ვნებები გამო, ერთმანეთსაც იპყრობდნენ. ამის მიზეზი, სტერეოტიპური მიზეზების გარდა, შესაძლოა ყოვლისმომცველი მუზა იყო. მუზა მუდმივი სტიმულია, ყურადღების ობიექტი და ქმედების მოტივაციაა. ის სიცოცხლის ელექსირია, ხელოვნება, რომელიც კავკასიაში ყველაფერში ჩანს: მთებში, ზღვაში, გამაახალგაზრდავებელ წყლებში, ბაღებში და რა თქმა უნდა, ღვინის, ჩაის, მუსიკის, აბრეშუმის, ოქროს და სხვა ყველანაირ თვალწარმატებელ ფორმაში.

პროექტის, „მისაღები ოთახი III“-ის სამუშაო სივრცე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი. გამოფენა ექსპერიმენტულია და ქართველი და საერთაშორისო მხატვრების ახალ ნამუშევრებს აჩვენებს იმის გასაგებად, თუ როგორ უკავშირდება ნამუშევარი საგამოფენო სივრცეს. თბილისის ისტორიის მუზეუმი 50 000 არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნიმუშს მოიცავს, რომლებიც ასახავენ თბილისის ისტორიას ძვ. წ. 4 ათასწლეულის ბოლოდან დღემდე. პროექტი თანამედროვე ხელოვნების პირველი ინტერვენციაა, უშუალოდ, თბილისის ისტორიის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეში.

საქართველო თვითმყოფადი, ხელოვნების, მუსიკის, პოეზიის, მწერლობისა და რენვის მიწაა. დღევანდელ, ჰიპერ-კომუნიკაციების სამყაროში წარსული, მუზეუმები და ხელოვნება ახალი კავშირების ძიების და ახლებული ხედვის ასპარეზი ხდება. შემოქმედებით პროცესში მაცურებლის ჩართვით, „მისაღები ოთახი III“ მიზნად ისახავს ახალი იდეების კვლევას, იმის გასაგებად, თუ სად ვართ და როგორ ვცხოვრობთ.

გაბრიელ ედვარდ ადამსი  
თბილისი 2017

პროექტის თანადაფინანსება: აშშ საელჩო თბილისში, თანამედროვე ხელოვნების ფონდი, ხელოვნების სწრაფი გრანტი და Frauenkulturbüro NRW e.V., Germany.

### LIVING ROOM III – IN SITU – TBILISI HISTORY MUSEUM

Since the Iron Age the caucuses have been a diverse environment where cultures crossed, traded, fought, and at times conquered in the name of what they sought. Most often a desire for resources led the charge alongside a lust for power, glory, expansion, and empire. But let us deviate from the usual and stereotypical barbarian attributes often imposed upon from abroad, and focus on a larger element which may have given rise to all such actions of conquest throughout history: the all consuming power of the muse. This timeless stimulus captures the attention and gives motive for action, it is the elixir of life, the story of art, and can be found near the mountains, sea, rejuvenating waters, gardens, and of course within reach to wine, tea, music, silks, gold, and all forms ravishingly beauty.

With the muse in mind, the Ioseb Grishashvili Tbilisi Historical Museum, Georgian National Museum, comes into focus as the site and working grounds for the third edition of the contemporary art project Living Room, an experimental exhibition which brings an envoy of local and international artists into spaces to present new works in ways which aim to redefine and examine how we relate to artworks, and the spaces which contain them. Working in situ, artists will present new works in response to the museum. The Tbilisi Historical Museum houses over fifty thousand archaeological and ethnographic artifacts that reflect Tbilisi's history from the end of the 4 millennium BCE to the present day. To date the museum has never involved the working process of contemporary artists.

Georgia has always held a longstanding cohesiveness and sense of self. It was never just a peripheral zone or a strategic location, but a land centered in the arts, music, poetry, writing, and crafts. In today's hyper connected world the relevance of the past, of museums and art, and the places dedicated to preservation and even contemplation have come into question. Living Room III aims to reinvigorate such realms and open new perspectives for thinking about where we are and how we live in the present through both engagement and artistic practice.

Gabriel Edward Adams  
Tbilisi 2017

Co-sponsored by The U.S. Embassy in Tbilisi, The Foundation for Contemporary Arts  
Emergency Grant and Frauenkulturbüro NRW e.V., Germany.

## ასტრიდ ბუში, გერმანია

ჩემი ნამუშევრები ადგილ-სპეციფიკურია. ყოველდღიური სამუშაო პროცესიდან აღებულ მასალებს სახელოსნოში ვაერთიანებ, შემდეგ ვუღებ ფოტოს და ციფრულად ვამუშავებ, რათა საგამოფენო სივრცესთან შევიდნენ დიალოგში. იმისთვის რომ ახლებურად წარმოჩინდნენ, ფოტოებს, დეკონსტრუქციული მეთოდებით (გაუცხოვება, ფრაგმენტაცია, რეკონტექსტუალიზაცია) არქიტექტურულ, ისტორიულ და გარემოზე მიმანიშნებელ მახასიათებლებს ვაშორებ. ჩემი ფოტოგრაფიები პოსტმოდერნისტული არქიტექტურული კოლაჟებია, სადაც ერთმანეთს სხვადასხვა ხარისხით განათებული საგნები და მასალები უთავსდება.

## ASTRID BUSCH, GERMANY

My work is fundamentally site-specific. Materials taken from my daily working life are recombined in the studio, photographed and digitally manipulated, and constantly enter into dialogue with the exhibition space. I take up the architectural, historical and atmospheric qualities of a location and present them, with the help of deconstructive methods (alienation, fragmentation, recontextualization), in a new light. My photographic works function as postmodern architectural collages in which props and materials, illuminated to varying degrees, converge.

All copyright is by Astrid Busch.

Friendly support of Frauenkulturbüro NRW e.V.







*ფერები თანხმდებიან სიბნელეში #02*, 2017, ციფრული ანაბეჭდი ქსოვილზე, ფოტო კოლაჟი, ვიდეო პროექცია. ინსტალაციის ხედი Fotogalerie, ვენა ავსტრია.

*All colors agree in the dark #02*, 2017, digital print on fabric, photo collages on overhead projectors, video-projection. Installation view Fotogalerie Vienna, Austria

{ *ce n'est pas un désert, ni une forêt*, 2016, პიგმენტური ბეჭდვა, 40 x 56 სმ  
*ce n'est pas un désert, ni une forêt*, 2016, archival pigment print, 40 x 56 cm

გაბრიელ ადამსი, აშშ/ახალი ზელანდია  
 GABRIEL ADAMS, USA/NZ



*აღმოსავლეთის ჯოჯოხეთი*, 2017, 22 ნუთიანი დისკო, DJ, დისკოს ბურთები და განათება. თანამშრომლობა ოზდენ დემირთან. სტამბულის ჰაიდარფაშას რკინიგზის სადგური. ფოტო: გაბრიელ ადამსი

*Orient inferno*, 2017, 22m long disco with DJ, discoballs, and lighting.  
 Collaboration Ozden Demir. Istanbul Haydarpasa Train Station.  
 Photo by Gabriel Adams

პრანცეტო გამადიდებელ შუშაში, 2015, ვენეციური სანადირო ნავი, თანამშრომლობა Il Caicio და Punto Croce, ვენეცია, იტალია.

ფოტო: ჰანა ბუნი

*Pranzetto, Through the Looking Glass, 2015, Venetian Hunting boat.*

Collaboration with Il Caicio and Punto Croce, Venice, Italy.

Photo By Channa Boon



ჰეითერ ლიონი, აშშ

პროექტის თანადაფინანსება: თანამედროვე  
ხელოვნების ფონდი, ხელოვნების სწრაფი გრანტი.

HEATHER LYON, USA

Co-sponsored by The Foundation for Contemporary  
Arts Emergency Grant.

*შეხვევა*, 2017, ზონარი, ფერადი ფოტო  
*Wrap*, 2017, flagging tape, color photograph







ფრაგმენტი, 2016, დანაწევრებული ქსოვილი, ინდიგო, 10.16 x 12.7 სმ  
*Fragment, 2016, pieced cloth, indigo, 10.16 x 12.7 cm*

ჰაპლბერი ელინგი, აშშ

*ბუს ტოტემი, თებერვალი, 2013*, ყაისნადის ძაფი, მავთული, თაბაშირი, ხელით დახატული თვალეები, მამლის ბუმბული, 40.64 x 45.72 სმ  
ფოტო: თანამშრომლობა ჯეი ელინგთან

HUCKLEBERRY ELLING, USA

*Owl Totem, February, 2013*, yarn, wire, plaster, hand painted eyes, rooster feathers, 40.64 x 45.72 cm  
Image: collaboration with photographer Jay Elling.



მეგი მიილიერი, აშშ

*სახლი*, 2017, ინსტალაცია, შერეული მასალა, მიმდინარე ნამუშევარი

მეგი მიილიერის ნამუშევრები უნონადობასა და მიზიდულობას შორის რჩებიან და პრობლემებისგან გაქცევას და გაურკვევლობას იკვლევენ. ვიზუალური სტიმულით, მისი მიზანია, ეჭვქვეშ დააყენოს მაყურებლის წინასწარი, ფსიქოლოგიური კოდი, სხეულის ფიზიკური, ემოციური, კონცეპტუალური ცენტრის თაობაზე. მისი ნამუშევრები სულ უფრო მეტად ეხებიან ხილული გარემოს საზღვრებს და რეალურ სივრცეს. ფერწერის შესაქმენლად ის სამშენებლო მასალებს იყენებს და შინაგანსა და გარეგანს, ნაწილსა და მთლიანს შორის საზღვის ნაშლას ცდილობს.

MAGGIE MAILER, USA

*Home*, 2017, installation, mixed media, work in progress

Maggie Mailer lives, works, and paints in a state somewhere between levity and gravity, and hopes to understand the terrain between evading problems, and transcending them. Her aim as an artist is to disrupt the viewer's psychological code that decides what center in the body—physical, emotional, conceptual – will interpret a visual cue, and in the disruption, signal the ability to float. The works rely increasingly on themes of territoriality and claimed space. Invoking the construction materials of the painting process, Mailer's work suggests a dissolving boundary between inside and outside, between ideas, and parts of the self. The works include paintings, drawings, and assemblages of sheet-rock, texts, canvas, sandpaper, vellum, tape, and cloth.





მარიამ ნატროშვილი, დეტუ ჯინჩარაძე, საქართველო  
*შედეგების მუზეუმი*, 2017, ინსტალაცია

ხელოვნების ნამუშევარი რაღაც სახის საყოველთაობას შეიძენს.  
 პოლ ვალერი, 1928

ხელოვნება ციფრული რეპროდუქციის ეპოქაში ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. ხელოვნება ოფისებში, სუპერმარკეტებში, სამზარეულოებში შევიდა და მოგვცა სახელოვნებო ნიმუშების არა მხოლოდ ნახვის, არამედ ფლობის შესაძლებლობაც. მრავალგზის რეპროდუქცირება, ანთავისუფლებს ნამუშევარს ისტორიისა და ავტორიტარული „აურისგან“ (კლემენტ გრინბერგი), ხელმისაწვდომს ხდის ყველასათვის და ახალ შინაარსს სძენს მას. ჭოკონდა ჭიჭამე, ვან გოგი ჩანთაზე, ჰირსტი საფულეზე, ფიროსმანი მაგნიტზე.

„შედეგების მუზეუმი“ თბილისის სამზარეულოების ხელოვნებას გამოფენს – ადამიანების პირად მუზეუმებში დაცულ შედეგებს. ესაა ხელოვნების ნამუშევრები, რომელიც, უკვე აღიარებული ფასეულობის გარდა, ინდივიდუალურ მესხიერებას ატარებს. პირად მუზეუმში ასლი ორიგინალია.

„შედეგების“ ერთ სივრცეში თავმოყრა, ეხმაურება თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოფენილი არტეფაქტების კონტექსტს, პროექტის „მისაღები ოთახი III“ თემას და კომენტარია ეროვნული გალერეის მიმდინარე გამოფენაზე, სადაც კარავაჯოს ორიგინალური ნამუშევრების ციფრული რეპროდუქციების სერია ლაითბოქსებშია წარმოდგენილი.



MARIAM NATROSHVILI, DETU JINCHARADZE, GEORGIA  
*Museum of Masterpieces*, 2017, installation

Works of art will acquire a kind of ubiquity.  
 Paul Valéry, 1928

In the age of digital reproduction, art is available to everyone. Art entered offices, supermarkets, kitchens, and gives us the opportunity to not only to see them but also to own them. Gioconda on tea mugs, Van Gogh on bags, Hirst on wallets, Pirosmanni on fridge magnets. The multiple reproductions liberates the work of art from history and their authoritarian “aura” (Clement Greenberg). It makes them accessible for everybody and it gives them new content.

The Museum of Masterpieces exhibits the art from Tbilisi kitchens – masterpieces that are protected in people’s private museums. These are the works of art, which, apart from the already recognized value, hold individual memory. A copy in the private museum becomes an original.

Gathering the “masterpieces” is a visual response to the context of works in the Tbilisi History Museum, the theme of the project Living Room III, and a comment on the Caravaggio show currently on view at the Dimitri Shevardnadze National Gallery which has presented as series of light boxes, which are digital reproductions, of Caravaggio’s works as pure art.



ნატო ერისთავი, საქართველო

*ქოთნები ქოთნებს შორის*, 2017, ინსტალაცია

